პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
პარასკევი
7
მარტი
№ 56
(16182)
წელი
2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური კარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

ხუთწლედის დამლევამდე

299 დღე დ ა ღ ა ს ი ნ ბ ლ ჩ ო ტ ბ ა

წლის თვითეული დღე და თვითეული საათი მოვახმაროთ ხუთწლედის შესრულებას

კომუნისტები ყოველთვის იყვნენ სახალხო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის ბრძოლის წინა ხაზზე. კომუნისტები კვლავაც უნდა იყონ ავანგარდში, მეთაურობდნენ მასებს, პირველთა შორის იბრძოლნენ ხუთწლედისათვის, უჩვენებდნენ შრომითი მამაცობისა და თავდადების მაგალითს, მათ უნდა გაძღვნენ მშრომელთა კოლექტივები.

სოციალისტური შეჯიბრების დევიზი:
მეტი და უკეთესი ხარისხის პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით!

ხუთწლედის 1975 დამამთავრებელი

დამამთავრებელი წლის ქალენდარი

დაბდგეთ დამკვრელურ ვახტზე...

ეერომის ნამდვილი დღესასწაულის — საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შემდეგ ერთი კვირა გავიდა. ეს დღეები ღირსშესანიშნავია იმით, რომ როგორც აქტივის კრების მონაწილეები, ისე რესპუბლიკის მშრომელები გაორკეცებული ენერგიით შეუდგნენ ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლას. მათ იციან, რომ 1975 წელი მთელი ჩვენი მუშაობის დიდი შემოწმების, გენერალური დათვალიერების წელია. დამამთავრებელმა წელმა უნდა გადაწყვიტოს მეცხრე ხუთწლედის შესრულების ბედი.

ამ დღეებში მთელ რიგ საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში რეზერვების შეუპოვრად, ბეჯითად ძიებასთან ერთად კვლავ ახალ, დამატებით ვალდებულებებს კისრულობენ, რომ ამთავითვე მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ არა მარტო დამამთავრებელი წლის, არამედ მთლიანად ხუთწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებას.

რედაქციაში მოდის წერილები იმის შესახებ, რომ ცალკეული საწარმოები რეზერვების გამოვლინებასთან ერთად გულმოდგინედ ანგარიშობენ თუ რა წვლილის შეტანა შეუძლიათ დიდი პატრიოტული ამოცანის — გეგმის გადამეტებით 200 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქციის გამოშვების საქმეში. ანგარიშობენ, აზუსტებენ, ეძებენ დამატებით რესურსებს, იჩენენ ახალ-ახალ ინიციატივას შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, ადიდებენ გამომუშავების ნორმებს...

ამოცანა გარკვეულია, ახლა მთავარია ყოველდღიური დამკვრელური, თავდადებული შრომა... მთელი ძალების დარაზმვა იმისათვის, რომ წლის თვითეული დღე და თვითეული საათი მოვახმაროთ ხუთწლედს, მოვახმაროთ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა სასახელოდ შესრულებას.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ იმაზე თუ როგორ მაღალნაყოფიერად ვიმუშავებთ ამთავითვე, როგორ ტემპს ავიღებთ, ამაზეა დამოკიდებული მთელი ხუთწლედის დიადი გეგმის წარმატებით შესრულების ბედი.

19 აპრილს კომუნისტური შაგათოგაა

დამკვრელურად

თბილისი. (საკ. კორ.). მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალურ რემონტშია ავტალის ვ. ი. ლენინის სახელობის შუშის ქარხნის ძირითადი № 1 საამქრო, საწარმოს კოლექტივი მაინც წარმატებით შრომობს, დავალებები გადაჭარბებით სრულდება.

მეშუშეებმა წელს დაძაბული გეგმა უნდა განაღორძნონ; მაგრამ ვალდებულება მაინც გაზრდილი მიიღეს — გადაწყვიტეს წლის ბოლომდე გამოუშვან 35 ათასი მანეთის პროდუქცია და მოახდინონ 50 ათასი მანეთის ნაწარმის რეალიზაცია.

— წლის განვლილ ორ თვეში ჩვენმა კოლექტივმა დამკვრელურად იშრომა. — თქვა ჩვენთან საუბარში საწარმოს დირექტორმა გ. ჭელიძემ, — დავალება ვადაზე ადრე შესრულდა. გეგმის გადამეტებით მომხმარებელს გავუგზავნეთ 762 ათასი ცალი ბოთლი.

ქარხანაში დამკვრელური შრომის დღეებია. მეშუშეები ემზადებიან ლენინური შაბათობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

დაჯოგილი მასალებით

„ვთელი პროდუქცია გამოვუშვათ დაზოგილი მასალებით და ნედლეულით — ასე გადაწყვიტა თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ კოლექტივმა მოსკოვის მოწინავე საწარმოთა ინიციატივის პასუხად, რომ 19 აპრილს მოაწყონ კომუნისტური შაბათობა. ამასთან დაკავშირებით აქ შეიქმნა „წითელი შაბათობის“ მომწყობი შტაბი. შემუშავებულია კონკრეტული ღონისძიებები.

ფაბრიკის ყველა მუშა-მოსამსახურე, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი 19 აპრილს გამოვა კომუნისტურ შაბათობაზე — თქვა პროკოფიევმირის ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. დემურიამ. ზოგიერთი მათგანი იმუშავებს საწარმოს ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის, მოწყობილობის პროფილაქტიკისათვის, შეაგროვებს ხუთ ტონა ჯართს. (საქინფორმი).

მეავეჯეთა წვლილი

ცხინვალი. (საკ. კორ.). ხელოვნების კომბინატის კოლექტივმა მხურვალედ დაუჭირა მხარი მოსკოვის სახარისხებელი დეპოს, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელობის ქარხნისა და მოსკოვის სხვა საწარმოების თაოსნობას 19 აპრილს კომუნისტური შაბათობის მოწყობის შესახებ.

საწარმოში შედგენილია შაბათობის მოწყობის კონკრეტული გეგმა. ამ დღეს სამუშაოდ გამოვა 265 კაცი, აქედან უშუალოდ საამქროებში იმუშავებს 170 კაცი. ისინი 8 ათასი მანეთის პროდუქციას გამოუშვებენ (ძირითადად ავეჯსა და პარკეტს) და 1.600 მანეთს გადარიცხავენ ხუთწლედის ფონდში.

საქართველოს კარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შემდეგ

სიუხვე შრომით იქმნება

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება რესპუბლიკის ყველა მშრომელისათვის ღირსშესანიშნავი მოვლენაა, ჩვენი მეურნეობისათვის კი ორმაგად მნიშვნელოვანია. ამის იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენი მეურნეობის წარმომადგენელმა, ცნობილმა მწველავმა ქალმა, სოციალისტური შრომის გმირმა გულსანმა ალიევამ რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან და მოწინავე ადამიანებთან ერთად საზეიმო ვითარებაში ჩაიბარა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, რომლითაც საქართველო დაჯილდოდა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

ალიევა ჩვენს მშრომელებს ესაუბრა იმ დიდ სიხარულზე, რომელიც განიცადა გამარჯვებული რესპუბლიკის დროშის მიღების დროს. ამასთან მან მეგობსტნეებსა და მეცხოველეებს მოუთხრა ის, თუ რა დიდი მსჯელობა გაიმართა საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე სახალხო მეურნეობისა და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, ამ დარგში არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების და გამოუყენებელი რეზერვების სიუხვის სამსახურში ჩაყენებისათვის.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე მთელი პრინციპულობით იყო მსჯელობა მოსავიანობის გადიდებაზე, პროდუქტების თვითღირებულების შემცირებაზე. შარშან ჩვენმა მეურნეობამ ნაცვლად 2.800 ტონისა სახელმწიფოს მიჰყიდა 2.838 ტონა ბოსტნეული. ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში დიდი გადამეტებით შეგასრულეთ, 5.471 ტონის ნაცვლად სახელმწიფომ მიიღო 8.438 ტონა ბოსტნეული, შარშან დაგეგმილი 3 500 მანეთის ნაცვლად 47.000 მანეთის მოგება მივიღეთ.

მეურნეობამ ამ წარმატებებს მიაღწია ახალ-ახალი რეზერვების გამოვლენით, მათი სიუხვის სამსახურში ჩაყენებით. მაგრამ ვინ მეტის გაკეთება არ შეიძლებოდა? როგორ არა, შეიძლებოდა, რომ ჩვენი რეზერვები, რესურსები მაქსიმალურად გამოგვეყენებინა.

შარშან უხვად მოვიყვანეთ ბოსტნეული, განსაკუთრებით მეტი რაოდენობით გაწარმოეთ სუფრის ჭარხალი, ბოლოკი, ისპანახი, სტაფილო. ჩვენ გაგვიჭირდა ამ პროდუქტების გაყიდვა, რადგან შემოდგომაზე სავაჭრო ქსელში პროდუქტების სიჭარბე იყო. ჭარხალი, ბოლოკი, სტაფილო, ისპანახი მიწაში ჩავტოვეთ და ყოველგვარი აგროღონისძიებები განვახორციელეთ, რომ არ გაფუჭებულიყო. წლეულს აღნიშნული პროდუქტები ორ თვეში ამოვიღეთ და სახელმწიფოს 293 ტონის რაოდენობით მივყიდეთ. პირველ აპრილამდე 200 ტონას კიდევ მივყიდით. ამით ჩვენმა მეურნეობამაც მოგება მიიღო და ქალაქის მშრომელებსაც საკმაოდ მიაწოდა ბოსტნეული.

ჩვენთან წლების მანძილზე მეცხოველეობა მოწინავე დარგად თვლებოდა. შარშან კი ფერმაში დაავადება გაჩნდა და იკლო წველადობამ. ამან საკმაოდ დაგვაზარალა. წლეულს მდგომარეობა შეიცვალა — განვლილ ორ თვეში, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, თვითეულ ძროხაზე 22 კილოგრამით მეტი რძეა მიღებული. ამასთან ცხიმიანობაც ნორმალურია.

ხუთწლედის მეხუთე წელს ჩვენ გეგმით 3.050 ტონა, ხოლო ვალდებულებით 3.100 ტონა ბოსტნეული უნდა გვეწარმოებინა, მაგრამ **პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ დიდი ამოცანების წინაშე დაგვაყენა. მეურნეობაში გულდასმით ვიმსჯელეთ, ხუთწლედის განვლილი წლების შედეგები საქმიანად გავაანალიზეთ და რეზერვების გამოძებნით იმ დასკვნამდე მივედით, რომ შეგვიძლია უფრო დიდი ვალდებულებები ვიკისროთ.**

ჩვენი ახალი ვალდებულებები ასეთია: ნაცვლად **პირვანდელი ვალდებულებებით ნაკისრი 3.100 ტონისა წლეულს სახელმწიფოს მივყიდით 4.000 ტონა ბოსტნეულს, ნაცვლად 150 ცენტნერისა, საშუალოდ ჰექტარზე 180 ცენტნერს მივიღებთ. ცენტნერი ბოსტნეულის თვითღირებულებას ნაცვლად 10 მანეთისა და 70 კაპიკისა 8 მანეთამდე შევამცირებთ. საერთო შემოსავალს ნაცვლად ადრე ნაკისრი 900.000 მანეთისა 1 მილიონ მანეთს მივიღებთ.**

ყოველივე ეს რომ გავაკეთოთ, საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყველა რეზერვი და რესურსი. რეზერვების ძიება გრძელდება. ჩვენი უპირველესი რეზერვი თვით მიწაა, მიწის მაღალნაყოფიერად გამოყენებაა. ამასთან ერთად რეზერვია დროზე რწყვა, სასუქების აგროვადებში შეტანა, ტექნიკის სრულყოფილად გამოყენება, შრომის დისციპლინის განმტკიცება, მშრომელთა მატერიალური და მორალური წახალისება.

ახალი, გადიდებული ვალდებულებების შესასრულებლად პირველი ნაბიჯები უკვე გადავდგით. საგაზაფხულო თესვას მომზადებული შევხვდით. უკვე დავთესეთ 70 ჰექტარი შვრია, ვთესავთ ბოსტნეულს. განვლილ 2 თვეში სახელმწიფოს, ნაცვლად 26 ტონისა, 30 ტონა რძე ჩავაბარეთ. ჩვენი მეურნეობის მშრომელთა სახელით მტკიცედ შემიძლია ვთქვა, რომ ნაკისრ ახალ ვალდებულებებს უთუოდ შევასრულებთ.

ი. ქიარიმოვი,
გარდაბნის კიროვის სახელობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

ეს დღეები სოფლად

მანქანები მინდვრად გავიდნენ

გაზაფხული ძალაში შედის. სოფლად სამუშაოები მოზდვავდა, ითესება ბოსტნეული კულტურები, შვრია, ერთწლიანი ბალახები. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანების საბჭოთა მეურნეობებში უკვე დათესეს 2.132 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები.

თესვის ტემპს ყოველდღე აძლიერებენ საგარეჯოს მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორები. აქაურებმა 106 ჰექტარი მარტო შვრია დათესეს. მარტყოფის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში მინდვრის სამუშაოებს მასობრივად შეუდგნენ, დაითესა 507 ჰექტარი ბოსტნეული და ერთწლიანი ბალახები.

საგაზაფხულო ხვნა-თესვის საქმეში პირველობის მოსაპოვებლად ერთმანეთს ეჯიბრებიან რუისპოლოს, დიღმის, გამარჯვების, გარდაბნის, კრწანისის, ნაზარლოს, სართიჭალის, არაფლოს, ყაჩაღნის, ნატახტრის, მანავის საბჭოთა მეურნეობების მექანიზატორები. ისინი თესვის ყოველდღიურ ნორმას ერთიორად ასრულებენ. მათ დათესეს 1.500 ჰექტარზე მეტი საგაზაფხულო კულტურები.

მაღე მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები მასობრივად დაიწყება. მარტო მარცვლეული და მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების დასათესად (სიმინდის ჩაუთვლელად) ახალქალაქის რაიონში საჭიროა სულ მცირე 36.112 ცენტნერი თესლი.

სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობებით ფაქტიურად მომზადებული აქვთ 42.450 ცენტნერი, რაც მთლიანად კონდიციურია.

ბორის რაიონში საგაზაფხულო თესვის შეუფერხებლად ჩატარებისათვის უნდა ჰქონდეთ 1.283 ცენტნერი მარცვლეული და მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების თესლი. ამ დავალების შესასრულებლად ზამორის დღეები ნაყოფიერად გამოიყენეს და გეგმაზე მეტი თესლი მოიმარაგეს

გაზაფხულის პირველი დღეებიდან ეს ძალღონეს არ იშურებენ აბაშის რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. წლეს სიმინდის დასათესად მათ გეგმით სჭირდებათ 3.129 ცენტნერი თესლი. ვალდებულებით ეს სამუშაო უნდა შეესრულებინათ ათი მარტისათვის, ფაქტიურად ვადაზე ერთი თვით ადრე მოიმარაგეს 5.761 ცენტნერი მაღალხარისხოვანი თესლი.

შ. ჯოჯუა.

არის პირველი კვარტალის გეგმა

ქასპის რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გეგმა-ვალდებულებაა წლეულს პირველ კვარტალში სახელმწიფოს მიჰყიდონ 282 ტონა ხორცი. როგორც ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობებიდან ჩანს, ქასპელმა მეცხოველეებმა პირობა ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულეს, სახელმწიფოს მისცეს 333 ტონა ხორცი.

მცხეთელმა მშრომელებმა სიტყვა საქმედ აქციეს, სახელმწიფოს უკვე მიჰყიდეს 273 ტონა ხორცი და ამით პირველი კვარტალის გეგმა-ვალდებულება 125 პროცენტით გაანაღდეს.

სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის პირველი კვარტალის დავალება შეასრულეს აგრეთვე **ზესტაფონის, წალენჯიხის, წყალტუბოს, საჩხერის, ონის, ამბროლაურის, ცაგერის, გეგეჭკორის, მახარაძის, ლანჩხუთის** რაიონებმა, ხოლო რძისა — **ახმეტის, ლენტეხის** რაიონებმა.

ნოვატორი ზეინკალი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, კომუნისტური შრომის დამკვრელს ზეინკალ გ. ბარამაშვილს კარგად იცნობენ თბილისის ანალიზური ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს საექსპერიმენტო საცდელ საწარმოში. იგი ოცი წელია მუშაობს და ამ ხნის მანძილზე სრულყოფილად დაეუფლა თავის პროფესიას. გ. ბარამაშვილი სამართლიანად მიაჩნიათ საწარმოს ერთ-ერთ საუკეთესო ზეინკალად.

როცა მეცხრე ხუთწლედი დაიწყო, იგი ერთ-ერთი პირველი დადგა ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის შრომითს ვახტზე. როგორც ყოველთვის, გ. ბარამაშვილი პირნათლად ასრულებს დავალებას. პირადი ხუთწლედი მან ოთხ წელიწადში შეასრულა, ამასთან ბევრი კვალიფიციური მუშა აღზარდა.

სურათზე: ზეინკალი გ. ბარამაშვილი და მისი ყოფილი მოწაფე, ამჟამად ცნობილი ზეინკალი, კომუნისტური შრომის დამკვრელი შ. მამულაშვილი.

ს. თევზაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქმიან ვითარებაში

სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტების მდივნების თათბირი

4-5 მარტს პრაღაში გაიმართა სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტების მდივნების თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ: ბულგარეთის კომუნისტური პარტიისაგან — ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ლილოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ტულაროვი; გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისაგან — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრები, ცენტრალური კომიტეტის მდივნები კ. ჰაგერი, ჰ. აქსენი, ვ. ლამბერიცი; კუბის კომუნისტური პარტიისაგან — კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრი ა. პერესი; მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიისაგან — მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. ჩიმიდორჟი; პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიისაგან — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. შიდლიაკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ე. ლუკაშევიჩი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრი რ. ფრელეკი; საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი; უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიისაგან — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ოვარი; ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისაგან — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ბილიაკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ი. ფოიტიკი, ო. შვეტკა. რუმინეთის კომუნისტურ პარტიას თათბირზე წარმოადგენდა რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ტ. მარინესკუ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე შესაბამისი მოძმე პარტიების ცენტრალური კომიტეტების საერთაშორისო და იდეოლოგიურ განყოფილებათა გამგეები, გამგეთა მოადგილეები, პასუხისმგებელი მუშაკები.

თათბირი გახსნა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ბილიაკმა. თათბირზე გამოვიდნენ: ბულგარეთის კომუნისტური პარტიისაგან — ა. ლილოვი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისაგან — კ. ჰაგერი, კუბის კომუნისტური პარტიისაგან ბ. პერესი, მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიისაგან — დ. ჩიმიდორჟი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიისაგან — ი. შიდლიაკი, რუმინეთის კომუნისტური პარტიისაგან — ტ. მარინესკუ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან — ბ. ნ. პონომარიოვი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიისაგან — მ. ოვარი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისაგან — ვ. ბილიაკი.

თათბირის მონაწილეებმა ქმაყოფილებით აღნიშნეს, რომ მოძმე პარტიათა ცენტრალური კომიტეტების მდივნების წინა შეხვედრის შემდეგ, რომელიც საერთაშორისო და იდეოლოგიურ საკითხებზი გაიმართა (მოსკოვი 1973 წლის დეკემბერი) გაწეულია დიდი მუშაობა ამ დარგში ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარებისათვის. მაგ ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი პარტიების საქმიანობის გამოცდილება და განიხილეს თანამედროვე საერთაშორისო პირობებში იდეოლოგიური თანამშრომლობის მიმართულებები.

თათბირზე აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ალზოგადოებრივობისათვის ინფორმირებას სოციალისტურ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის შესახებ, რომლის მიზანია გაალრმავოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და მიანიჭოს მას შეუქცევადი ხასიათი.

თათბირის მუშაობაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი დაეთმო ჰიტლერულ ფაშიზმზე და იაპონიის მილიტარიზმზე გამარჯვების 30-ე წლისთავის ზეიმის საკითხის განხილვას.

საზოგადოებრივობის უფართოესი ფენები უნდა იცნობდნენ ისტორიულ ფაქტებს, შეეძლოთ იმის გაკვეთილების ბოლომდე შეცნობა, ფაშიზმის განადგურებაში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს გადამწყვეტი როლი, საბჭოთა ხალხისა და მისი არმიის თვალსაჩინო გმირობა, მამაცური იტაკვეში ბრძოლა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ კომუნისტები, წინააღმდეგობის მოძრაობა, სახალხო-განმათავისუფლებელი ძალების საბრძოლო მოქმედება; ანტიჰიტლერულ კოალიციაში შემავალ სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა თანამშრომლობის გამოცდილება; ფაშიზმის განადგურებისა და ხალხთა რევოლუციურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აღმავლობა ძირითადი შედეგები — ყველა ამ მომენტის ღრმა გაშუქება მომძე პარტიათა იდეოლოგიური მუშაობის დიდმნიშვნელოვანი და საპატიო ამოცანაა გამარჯვების 30-ე წლისთავთან დაკავშირებით.

თათბირის მონაწილეებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ მომავალ პერიოდში მომძე პარტიათა იდეოლოგიურ საქმიანობაში დიდ ადგილს დაიჭერს ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის მე-20 წლისთავის ზეიმთან კომუნისტური და მუშათა პარტიებს მორიგ ყრილობებთან, აგრეთვე ქაღის საერთაშორიო წელთან დაკავშირებული ღონისძიებები.

თათბირმა, რომელიც საქმიან, ამხანაგურ ატმოსფეროში მიმდინარეობდა, დაადასტურა მოძმე პარტიებისა და ქვეყნების ორმხრივი და მრავალმხრივი იდეოლოგიური თანამშრომლობის ეფექტიანობა, მისი მზარდი მნიშვნელობა მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის საფუძველზე მათი ერთიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია პრაღიდან გამოეგზავრა

პრაღა, 6 მარტი. (საკუთარი). დღეს სამშობლოში გამოემგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელიც მონაწილეობდა სოციალისტური ქვეყნების მომძე პარტიათა ცენტრალური კომიტეტების მდივნებთა მორიგ თათბირში. დელეგაციაში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის „პრავდის“ მთავარი რედაქტორი მ. ვ. ზიმიანინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე გ. ლ. სმირნოვი.

200

მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია გეგმის გადამეტებით!

იმისათვის, რომ მიმდინარე ხუთწლიანი გეგმის დავალებები უთუოდ შევასრულოთ და შემდგომ პერიოდში საქართველოს საწარმოო ძალების დაჩქარებულ განვითარებას მტკიცე ბაზა შევუქმნათ, პირველ რიგში საჭიროა: განვახორციელოთ წარმოების ინტენსიფიკაცია, დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება, სრულად გამოვიყენოთ არსებული რეზერვები.



საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შემდეგ

ავამოქმედებთ ყველა რეზერვს

საუბარი საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიკომის პირველ მდივან დ. მაღალაშვილთან

მარნეულის რაიონის მშრომელები რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების ღრმა შთაბეჭდილებით ცხოვრობენ და იღვწიან. ისინი დიდ სიხარულს აზიარა და ახალი ძალები შემატა ამ კრებაზე ჩვენი რესპუბლიკისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის საზეიმოდ გადაცემამ.

კანონიერი სიამაყის გრძნობა გვეუფლება იმის გამო, რომ ბოლო რამ წლის მანძილზე, განსაკუთრებით კი ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს საქართველოს მშრომელთა წარმატებებში ჩვენც მიგვიძღვის გარკვეული წვლილი. შარშან ვალდებულებით ნაკისრი 25.625 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მივყიდეთ 32.439 ტონა ბოსტნეული, რითაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა დავიმსახურეთ. წარმატებებს მიეღწიეთ აგრეთვე რაიონის სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარებაშიც. დიდი გადაწყვეტილებით შეასრულეთ მარცვლეულის, ყურძნის, ბაღჩეულის, კარტოფილის, თამბაქოს, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსთვის მიყიდვის გეგმები.

1974 წლის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა შორის არის ჩვენი რაიონის მეფინელოს საბჭოთა მეურნეობა, ხოლო საქართველოში სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთ გვერდს უმშვენებენ ყანაღნის მრეწველობა-ძეგოსტნეობის, ალვათის ვიტამინიზებული ფეხვნილის საბჭოთა მეურნეობების, რაიკოოპკავშირის შაუმიანის სამომხმარებლო საზოგადოების კოლექტივები, რაიონის მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკები.

მაგრამ ეს მხოლოდ კარგი დასაწყისია სიუხვისათვის გაჩაღებული დიდი ბრძოლისა და მთავარი სამუშაო ჯერ არის. ამასთან ერთი წუთითაც არ ვივიწყებთ ჩვენს ხელთ არსებულ რეზერვებს და თვალს არ ვხუჭავთ ეკონომიკის განვითარებაში ჯერ კიდევ არსებული ხარვეზების წინაშე. ეს ერთხელ კიდევ დაგვანახვა და მთელი სიგრძე-სიგანით გადაგვშალა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ პლენუმებსა და სხვა მნიშვნელოვან ფორუმებზე გამართული სერიოზული, გულახდილი მსჯელობის ლოგიკური გაგრძელებას წარმოადგენდა.

ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებში მარნეულელ მშრომელებს, რომლებიც სულ უფრო მკვეთრად გრძნობენ პარტიისა და მთავრობის კონკრეტულ დაფუძვლიანად განვიხილეთ სიმეჩხრის აღმოფხვრის საკითხი და დავსახეთ სათანადო ღონისძიებანი, რომლებიც უკვე პრაქტიკულად ხორციელდება. საბჭოთა მეურნეობებში დაიწყო ვაზის გადაწიდნვა, გადამხრე

ამბები • ფაქტები



ᲡᲐᲙᲚᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲘᲐᲜ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲔᲡ

მეგობრული საუბარი

პრაღა, 6 მარტი. (საკლესი). ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა გ. ჰუსაკმა პრაღის კრემლში მიიღო პრაღის თათბირის მონაწილე სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტების მდივნები და დელეგაციათა მეთაურები. დარბაზობაზე იყვნენ აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრები.

გ. ჰუსაკმა საუბრის დროს მაღალი შეფასება მისცა ამ თათბირის მნიშვნელობას, რომელიც განაგრძობს 1973 წელს მოსკოვში დაწყებულ ტრადიციებს. ასეთი თათბირები წვლილია იდეოლოგიურ მუშაობაში მოძმე პარტიების თანამშრომლობის გაფართოებასა და გაღრმავებაში.

მოძმე პარტიების დამსწრე წარმომადგენელთა სახელით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ნ. პონომარიოვმა მადლობა გადაუხადა გ. ჰუსაკს პრაღაში მეგობრული მასპინძლობისათვის.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ
ეკონომიური სიძნელეები

ლონდონი, 5 მარტი. (საკლესი). ინგლისი ინფლაციის მარწუხებშია. თუ ვერ შევძელით მასზე კონტროლის დამყარება, ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება, განაცხადა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჰ. ვილსონმა, რომელიც გამოვიდა აქ ერთ-ერთ სატელევიზო პროგრამაში.

ჰ. ვილსონმა აღნიშნა, რომ ინგლისი ისევ ძალიან ცოტა შემოსავალს იღებს თავისი საქონლის ექსპორტისაგან საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის დასაფარავად.

შეეხო რა „საერთო ბაზარში“ ინგლისის მონაწილეობის საკითხს, პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ, თუ მოლაპარაკება ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში დიდი ბრიტანეთის წევრობის პირობების გადასინჯვის შესახებ მარტის ბოლომდე დამთავრდა, მინისტრთა კაბინეტი, ალბათ, მიიღებს გადაწყვეტილებას, მისაღებია თუ არა ახალი პირობები ქვეყნისათვის. ამისათვის ჩვენ არ დაველოდებით ლეიბორისტული პარტიის კონფერენციას.

ლეიბორისტული მთავრობა, ხაზი გაუსვა ჰ. ვილსონმა, „აბსოლუტურად უმაყოფილოა „საერთო ბაზარში“ მონაწილეობის ინგლისის დამამცირებელი შეურაცხყოფილი პირობებით“, რომელებზეც წინათ დათანხმდა კონსერვატორთა მთავრობა.

დასავლეთი ბერლინი
პოლიციის აქცია

ვიოსარებმა დასავლეთ ბერლინში მას შემდეგ რაც გაათავისუფლეს ანარქისტების მიერ გატაცებული ადგილობრივი ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარე პეტერ ლორენცი, კვლავ დაძაბულია. პოლიცია დაეძებს 8 პირს, რომლებზეც ეჭვი აქვთ მიტანილი, რომ მონაწილეობას იღებდნენ გატაცებაში. დააპატიმრეს 173 კაცი, მაგრამ გულდასმით შემოწმების შემდეგ ყველა გაათავისუფლეს. პატრულები ამოწმებენ ავტომობილებს.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ
ᲙᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘ

ვარშავა. 1975 წელს სოციალისტური პოლონეთის ხაავტომობილო ქარხნების კონვეიერებიდან ჩამოვა 200 ათასი მსუბუქი ავტომანქანა, 90 ათასი სატვირთო და 6,5 ათასი კომფორტული ავტობუსი. ისინი კარგი ხასელით სარგებლობენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. წელს პოლონეთის ავტომობილების ისეთ ტრადიციულ მყიდველებს, როგორიც არიან უნგრეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ჩეხოსლოვაკია, დაემატებიან ინგლისი და პაკისტანი.

იზოტოპები — მედიცინას
გდრ

ბერლინი. ყოველწლიურად გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში 300 ათასზე მეტი კვლევა ხორციელდება რადიაქტიური იზოტოპების საშუალებით. მათი შესრულების დროს უმეტეს შემთხვევებში იყენებენ სპეციალურ სამედიცინო იზოტოპებს, რომლებიც დამზადებულია როსენდორფის ბირთვული ფიზიკის ცენტრალური ინსტიტუტის ლაბორატორიებში დრეზდენის მახლობლად.

გასული წლიდან როსენდორფის ბირთვული ფიზიკის ცენტრალურმა ინსტიტუტმა დაიწყო იზოტოპების წარმოება მოძმე ქვეყნების, პირველ რიგში საბჭოთა კავშირის მონათესავე ორგანიზაციებთან დადებული მრავალმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე.

რუმინეთი
ერთიგლვი ლონისძიებებით

ბუქარესტი. ალასის მეტალურგიულ ქარხანაში მთავრდება კიდევ ორი საწარმოო სიმძლავრის ამოქმედების სამუშაოები. ეს არის საბჭოური წარმოების ორი მძლავრი დგანი, რომელიც უშვებენ შენადუღ და პროფილიან მილებს. ორივე აგრეგატი იდგმება საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით. მათი ამუშავებით საწარმოს პროდუქციის მოცულობა მიმდინარე წელს ღირებულებითი გამოხატულებით ერთი მილიარდი ლეიით გადიდდება.

დამკვრელური მშენებლობა
უნგრეთი

ბუდაპეშტი. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ენერგომხსტეგმაში 100 ათასი კილოვატი სიმძლავრის მეორე ენერგობლოკის ჩართვით მოლიანად ჩადგა მწყობრში ინოტის 7 ნოემბრის სახელობის ელექტროსადგური.

ეს დამკვრელური მშენებლობა სსრ კავშირისა და უნგრეთის ნაყოფიერი თანამშრომლობის თვალსაჩინო შედეგია.

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ



მანძანაოსამშენებლო ქარხანამ ჩოდამ პლზენში დაიწყო 10.800 ცხენის ძალის სიმძლავრის ძრავიანი ელმავლის გამოცდა. იგი დამზადებულია საბჭოთა კავშირის შეკვეთით და უმთავრესად გამოყენებული იქნება მოსკოვ-ლენინგრადის სარკინიგზო ხაზზე. ელმავალს, რომელსაც შეუძლია განავითაროს საათში 200 კილომეტრი სიჩქარე, ავტომატური მართვის სისტემა აქვს.

ᲛᲝᲠᲐᲚᲘᲡ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ
ეგოიზმი, მისი ანტისოციალური არსი

ᲐᲛᲥᲐᲜᲐᲓ, როდესაც წარმატებით მიმდინარეობს ბრძოლა სხვადასხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ჩვენს რესპუბლიკაში ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, ეგოიზმის ანტისოციალური არსის გამოაშკარავება იტაუალური გახდა. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ჩვენი საზოგადოების ანტიპოდებს, კერძოდ, მექრთამეებს, კომბინატორებს, მომხვეჭელებს და, საერთოდ, კერძომესაკუთრული ტენდენციების მქონე ადამიანებს. ბრძოლა ზემოაღნიშნული ანტიპოდების წინააღმდეგ არსებითად არის ბრძოლა ეგოიზმის დასაძლევად, ცხოვრების და მუშაობის ლენინური სტილის აღსადგენად და განსამტკიცებლად.

ტერმინი „ეგოიზმი“ (ლათ. „ეგო“ — „მე“) ისეთი ზნეობრივი პრინციპია, რომელიც ცალკეული ადამიანის კერძო ინტერესებს მისი მოღვაწეობის მთავარ მოტივად აცხადებს და ყოველივე არსებულის ღირებულებას იმაში ხედავს, თუ იგი როგორ და რამდენად ემსახურება მოცემული ინდივიდის ინტერესებს. პირადი ინტერესები, საკუთარი სარგებლიანობა ეგოისტი ადამიანის ცხოვრებაში უმაღლეს ეტალონს წარმოადგენს და გარეკონთან ურთიერთობას მარტოოდენ მის მიხედვით ამყარებს. საზოგადოებრივი ინტერესები მხოლოდ მაშინ იძენენ მის თვალში ღირებულებას, რამდენადაც ისინი კვლავ საკუთარ ინტერესებს შეეხამებიან, ე. ი. რამდენადაც მომგებიანი არიან.

ეგოიზმს ბიოლოგიური და სოციალური საფუძვლები აქვს; მისი ბიოლოგიური საფუძველია თვითშენახვის ინსტინქტი, რომელიც პირვანდელი ფორმით საკუთარი სიცოცხლის შენარჩუნებისა და გახანგრძლივებისაკენ ლტოლვაში გამოიხატება.

მიუხედავად ამისა ცხოველი (ადამიანის გამოკლებით) არ შეიძლება იყოს ეგოისტი, ვინაიდან მას არა აქვს „მე“ — ცნობიერება — იგი თავის თავს ვერ გამოყოფს ბუნებისაგან. შეიძლება ვალაპარაკოთ ეგოიზმის ბიოლოგიურ საფუძვლებზე და არა საკუთრივ ეგოიზმის არსებობაზე ცხოველებში. ეგოიზმი მხოლოდ ადამიანური მოვლენაა, ცნობიერებით დაჯილდოებული ცოცხალი ორგანიზმის მორალური პრინციპია.

მაგრამ ადამიანი მარტოოდენ ბიოლოგიური არსება (ცხოველი) როდია; სწორედ ამიტომ ბიოლოგიური კანონები არასაკმარისია ადამიანის არსების გასაგებად, ადამიანი ცნობიერი არსებაა და თავის მოქმედებაში არაცნობიერი მოტივებით (ინსტინქტებით) როდი ხელმძღვანელობს; იგი ბრძოლა კი არ მისდევს ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს, არამედ იმორჩილებს მათ და საკუთარ გონებას უქვემდებარებს. თვითონ ბუნებრივი მოთხოვნილებანიც კი ცნობიერების კონტროლს ექვემდებარება. ამით ახსნება ის, რომ ადამიანი ხშირად მაღალი იდეალებით მოქმედებს და ზოგჯერ ამ იდეალების სამსახეურში საკუთარი სიცოცხლეც კი მიაქვს; იგი თავს სწირავს სამშობლოსათვის, შვილებისათვის, მეგობრისათვის, სიყვარულს ამჯობინებს შერცხვენილაა და დამცირებულ სიცოცხლეს და ა. შ. ეს გარემებანი ბიოლოგიური კანონებით არ აიხსნება, ვინაიდან უზენაეს კანონს ამ დარგში თვითშენახვა, სიცოცხლისაკენ ლტოლვა წარმოადგენს. მაშასადამე, **ეგოიზმი, უწინარეს ყოვლისა, ბიოლოგიური, ცხოველური გრძნობაა;** რამდენადაც ადამიანში მეტია ეგოიზმი, იმდენად მასში ბიოლოგიური არსება სჭარბობს ადამიანურს და, მაშასადამე, შესაბამისად ცნობიერების დონე დაბალია; ეგოიზმი არ არის ადამიანის როგორც ადამიანის არსება.

ეგოიზმს, გარდა ბიოლოგიურისა, სოციალურ-ეკონომიური საფუძვლებიც აქვს; თვითშენახვის ბიოლოგიური ინსტინქტის გაღრმავებასა და მის გადაქცევას ეგოიზმის მორალურ პრინციპად ადამიანში ხელი შეუწყო და განაპირობა კერძო საკუთრების წარმოშობამ, საზოგადოების დაყოფამ გაბატონებულ და ჩაგრულ კლასებად, ბუნებრივია, რომ ეგოიზმმა თავისი განვითარების უმაღლეს მწვერვალს კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის წარმოშობის შემდეგ და მის საფუძველზე მიაღწია. ვინაიდან სწორედ კაპიტალიზმის დროს ცალკეული ბურჟუას კერძო ინტერესები მისი მოღვაწეობის მთავარ სტიმულად იქცევა და, მაშასადამე, ადამიანთა სოციალური ურთიერთობანი ეგოისტური მოტივებით იმსჭვალება.

მაგრამ ეგოიზმი მარტოოდენ კაპიტალისტურ საზოგადოებაში როდი არსებობს; იგი არსებობდა კაპიტალიზმამდეც (განსაკუთრებით კლასობრივი საზოგადოების წარმოშობის დროიდან) და არსებობს სოციალისტურ საზოგადოებაშიც გადმონაშთების სახით. ეგოისტური მორალი სწორედ ანტაგონისტური საზოგადოების სპეციფიკაა და, მაშასადამე, პრინციპულად უცხოა სოციალისტური წყობილებისათვის. ამის ნათელ დადასტურებას თვითონ ეგოიზმის ბუნების ანალიზი იძლევა. ეგოისტი ადამიანი არ კმაყოფილდება სიცოცხლის შენარჩუნებისა და გახანგრძლივების საშუალებების მოპოვებით, არამედ მისწრაფვის სამდიდრესაკენ, ფუფუნებისაკენ, ხდება ნივთების მონა, კომფორტი ბატონობს ადამიანზე. სწორედ ამ უცნაური ფეტიშიზმით აიხსნება ის გარემოება, რომ ეგოისტი ცდილობს რაც შეიძლება მეტი სიმდიდრე მოიხვეჭოს, აუარაცხელი ქონება დააგროვოს. სიმდიდრის დაგროვების პროცესში იგი კარგავს ზომიერების გრძნობას, ხოლ გჯერ იძენს ისეთს და იმდენს, რისი მოხმარებაც მას არ შეუძლია. ასეთ გითარებაშა, ცხადია, ირღვევა, უურადღების გარეშე რჩება ნამდვილი ადამიანური ღირებულებანი, ხოლო ნივთების კულტი ყველაფერზე მაღლა დგება. ასეთი ტენდენციები, ცხადია, არ არის დამახასიათებელი სოციალისტური საზოგადოებისათვის, ხოლო კაპიტალისტური წარმოებისთა ურთიერთობებს პირობებში იგი ჩვეულებრივი ამბავია. სწორედ ამიტომ უწოდებენ მას კაპიტალიზმის გადმონაშთებს.

ასეთი გადმონაშთები, სამწუხაროდ, ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ-ჯერობით თავჩაჭიმულად ჯაჭანაძეს, მშენებელმა ინჟინერმა ს. ყალიჩავამ, თბილისის ფარმაცევტული სასწავლებლის ყოფილმა დირექტორმა გ. თოდუამ და სხვებმა მექრთამეობის, კომბინაციების, გამომძალველობის და სხვა ეგოისტური საქმიანობის შედეგად იმდენი სიმდიდრე დაგროვეს ფულისა და ძვირფასი ლითონების სახით, რომლის მოხმარებას ადამიანთა ერთი ან ორი თაობა ვერ შეძლებს. ამასთანავე სიმდიდრის უკანონო მოხვეჭის პროცესში მათ დაკარგეს ყოველგვარი ზომა, დაივიწყეს ელემენტარული მორალური ნორმები და მძიმე დანაშაულის გზას დაადგნენ. ეგოიზმს, ამ შემთხვევაში, ისევე როგორც ყოველთვის, შედეგად მოჰყვა ადამიანის გადაგვარება, ცხოველური ინსტინქტების გაღვივება, შეშმარიტი ადამიანური ღირსებების დაკარგვა. ეს არის ღირებულებათა თავისებური გადაფასება, რომელიც ძირითულია საზოგადოებრივი პროგრესის, მთელი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ.

ზემოთქმულიდან ნათელია, რომ ეგოიზმი ჰუმანიზმის პრინციპებს ეწინააღმდეგება. იგი მარტოოდენ ცალკეული ადამიანების ინტერესებს გამოხატავს, ხოლო სხვის ინტერესებს უგულებელყოფს. ეგოიზმი, თავისი ინდივიდუალისტური ხასიათის გამო, ადამიანებს თიშავს, აცალკევებს ერთმანეთისაგან, ერთი ადამიანის ინტერესებს უპირისპირებს მეორე ადამიანს და ამდენად საზოგადოებას შლის ცალკეულ ატომებად, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ერთეულებად.

სწორედ ამაშია ეგოისტური მორალის მთავარი შეცდომა; მას ავიწყდება, რომ ადამიანი სოციალური არსებაა, რომელსაც მხოლოდ სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში შეუძლია არსებობა, ატომიზმი და ანტიკოლექტივიზმი (ანტისოციალურობა) უცხოა ადამიანის ბუნებისათვის. ეგოიზმი ცხოველური ბრძნობაა და, ცხადია, იგი ადამიანის არსება ვერ იქნება. ადამიანი თავისი ბუნებით არ შეიძლება იყოს ეგოისტი; პირიქით, იგი სოციალური არსებაა, რომლის ინტერესებს განუყოფლად დაკავშირებულია სხვა ადამიანების ინტერესთან.

ეგოისტი არა მხოლოდ ინდივიდუალისტია იმისადმი. რაც მის პირად ინტერესებს არ შეეხამება, არამედ კიდეც იბრძვის მის წინააღმდეგ, ცდილობს ყველაფერი მის სამსახურში ჩააყენოს სწორედ ამიტომ ეგოიზმი მეტად საშიში, ანტისაზოგადოებრივი მოვლენაა; ეგოისტი ადამიანი ჰუმანიზმისა და საზოგადოების ყველაზე დაუძინებელი მტერია.

ეგოიზმი წარმოშობს შურს, რომელსაც აგრეთვე დიდი ზიანი მოაქვს საზოგადოებისათვის. აბრკოლებს მის წინსვლას, იწვევს ათასგვარ დანაშაულს.

ეგოისტური მორალის მავნებლობა იმაშიც გამოვლინდება, რომ იგი ადვილად „გადამდები სენია“ განსაკუთრებით ახალგაზრდობაზე; როდესაც ბავშვი ნელავს, რომ მისი მშობლები არა მარტო არ ფარავენ, არამედ კიდეც ამაყობენ მექრთამეობის, კომბინაციების და სხვა ბინძური საქმიანობის შედეგად შეძენილი სიმდიდრით, მაშინ სულ ადვილად ყალიბდება ეგოისტური მორალი: სიმდიდრე, კომფორტი მის ცნობიერებაში პირველ ადგილს იკავებს — სულ ერთია რა გზით იქნება იგი შეძენილი — ხოლო ნამდვილი, შეშმარიტი ადამიანური ღირებულებანი გაუცნობიერებელი რჩება

ეგოისტური მორალი საფუძვლად უძევს ე. წ. პროტექციონიზმს, რომელიც აგრეთვე პირადი ინტერესების საზოგადოებრივზე მაღლა დაყენების კერძო შემთხვევას წარმოადგენს. პროტექციონიტიაჰუმანური აქტია, ვინაიდან არსებითად იგი არის იმის მფარველობა, ვინც ამის ღირსი არ არის. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, ინაგრება პატიოსანი, მშრომელი. ნიჭიერი ადამიანი, რომლის ადგილს გაცილებით მდარე, შეუფერებელი და უპატიოსნო ადამიანი იკავებს. ეს კი, თავის მხრივ, აბრკოლებს საზოგადოების პროგრესს, ხელს უშლის მის განვითარებას. პროტექციას არ საჭიროებს ღირსეული, იგი უღირსს სჭირდება, ხოლო ღირსეულს ხარჯზე უღირსის დაცვა ანტიჰუმანური და ანტისოციალური აქტია.

პრაქტიკამ დაადასტურა, რომ პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების ნამდვილი შეხამება მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტური მორალის პირობებშია შესაძლებელი. ეგოიზმი არსებითად ბურჟუაზიული მორალია, რომელიც სოციალისტური საზოგადოების წინააღმდეგ არის მიმართული. სწორედ ამიტომ მის წინააღმდეგ ბრძოლა თვითეული საბჭოთა მოქალაქის წმიდათა წმიდა მოვალეობაა.

Შ. ᲐᲕᲐᲚᲘᲐᲜᲘ,
პროფესორი.

ᲙᲐᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ

კვლავ ჯ. კენედის შესახებ

ნიუ-იორკი, 6 მარტი. (საკლესი). კონგრესმენმა-დემოკრატმა ტედ-ნეს შტატისაგან გ. გონსალესმა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში შეიტანა წინადადება შეიქმნას სპეციალური კომისია 1963 წლის 22 ნოემბრის პრეზიდენტ ჯ. კენედის მკვლელობის გარემოებათა ახალი გამოძიებისათვის. ამის საფუძველია ვარაუდი, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო მონაწილეობდა შეთქმულებაში პრეზიდენტის მკვლელობის მიზნით.

გ. გონსალესი ამბობს, რომ მას ეშინ შეეპარა მაშინ, როცა ცნობილი გახდა ფაქტები იმის შესახებ, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო უკმაყოფილოა პოლიტიკის მთელი რიგი ასპექტების გამო.

ამ მასალებს შორის, რომლებიც გ. გონსალესს მისცეს ამ საქმის გამო კერძო გამოძიების მონაწილე პირებმა, არის დოკუმენტები, რომლებშიც ნავარაუდევია, რომ არსებობს კავშირი კენედის მკვლელობასა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტებს შორის.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს, ადნიშნავენ კონგრესმენის თანაშემწეები. იმ გარემოებასაც, რომ დღემდე საზოგადოებრიობას არ მიუღია პასუხი ჯ. კენედის მკვლელობის გარემოებებთან დაკავშირებულ მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან საკითხებზე.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ
ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲘ�პᲘᲡ ᲚᲔᲜᲢᲘᲓᲐᲜ...

ᲡᲐᲙᲚᲔᲡᲘ. 6 ᲛᲐᲠᲢᲘ

ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

ᲐᲗᲘᲜᲘ. საბერძნეთის სასამართლო ორგანოებმა დაიწყეს გამოძიება გასული წლის ივლისში კვიპროსში მომხდარ ამბოხებაში სამხედრო ხუნტის ხელმძღვანელთა მონაწილეობის საქმის გამო. ბრალდებულთა შორის არიან ყოფილი პრემიერ-მინისტრი ა. ანდრუცოპულოსი და მისი მთავრობის წევრები.

Ე. ᲙᲔᲜᲔᲓᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲠᲝᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. სენატორმა ე. კენედიმ კონგრესის განსახილველად შეიტანა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს კუბასთან ვაჭრობაში შეზღუდვების გაუქმებას. კანონპროექტი აგრეთვე შეიცავს წინადადებას გაუქმონ ამ ქვეყნების წინააღმდეგ რეპრესიულ ღონისძიებათა პრაქტიკა, რომლებიც კუბასთან ვაჭრობენ.

Ჯ. ᲚᲔᲝᲜᲔᲡ ᲛᲝᲬᲕᲝᲓᲔᲑᲐ

ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ. ხაუდის არაბეთში ოფიციალურ ვიზიტით მყოფმა იტალიის პრეზიდენტმა ჯ. ლეონემ მოუწოდა, რომ ისრაელის ჯარები ყოველგვარ ყველა ოკუპირებული არაბული ტერიტორიიდან და აღადგინონ პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი უფლებები.

ᲡᲮᲓᲝᲛᲐ ᲞᲠᲐᲦᲐᲨᲘ

პრაღა. აქ გაიმართა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო სარევიზიო კომისიის სხდომა, რომელზეც განიხილეს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად პარტიული ორგანიზაციებისა და პარტიის წევრების საქმიანობის შემოწმების შედეგები.

ᲛᲘᲬᲐ—ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘ

ᲙᲘᲒᲝ. 12,5 ათასმა გლეხთა ოჯახმა მიიღო ეკვადორში დაახლოებით 350 ათასი ჰექტარი ნაყოფიერი მიწა 1973 წლის ოქტომბრიდან, როცა ქვეყანაში მიიღეს კანონი აგრარული რეფორმის შესახებ. რეფორმის მიზანი ის არის, რომ ბოლო მოეღოს მიწათსარგებლობის უსამართლო სისტემას და მნიშვნელოვნად ამაღლდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონე.

ლატიფუნდისტებისათვის ვიზ ჩამორთმეულ ან ახალი მიწების ათვისების დროს გლეხებისათვის გადაცემულ მიწებზე შეიქმნა კოოპერატივები.

ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ
ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 5 მარტი (საკლესი). „ბიბლიოთეკა ოუალლ“ უკანასკნელ ნომერში წერს, რომ ჩილეში იზრდება სამხედრო ხუნტის ფაშისტური რეჟიმისადმი წინააღმდეგობის მოძრაობა. მიუხედავად ამისა, რომ აკრძალულია ჩილეს მშრომელთა ერთიანი პროფკავშირის საქმიანობა და პროფკავშირული მოძრაობის ბევრ აქტივისტს სასტიკად დევნიან, აღნიშნავს გაზეთი, ქვეყნის მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებზე და სპილენძის მაღაროებში გაიმართა გფიცვები.

ფაბრიკა-ქარხნებში, მუშათა რაიონებში მოქმედებენ წინააღმდეგობის მოძრაობის კომიტეტები. ხუნტა სერიოზულად არის შეშფოთებული მზარდი ანტიდიქტატორული პროპაგანდის გამო. სულ უფრო ხშირად სახლების კედლებზე, ტელეფონის ჯიხურებში, საქალაქო ტრანსპორტზე და სხვა ადგილებში აკრავენ პლაკატებსა და ფურცლებს, რომლებიც მოუწოდებენ ხალხს მტკიცედ იბრძოლოს ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ, ქვეყანაში დემოკრატიის აღდგენისათვის.

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

აშშ. კანავერალის კონცხზე ჯ. კენედის სახელობის კოსმოსური მართვის ცენტრში და პიუტონში ლ. ჯონსონის სახელობის პილოტირებული კოსმოსური ხომალდების ცენტრში საბჭოთა და ამერიკელი სპეციალისტები და კოსმონავტები ემზადებიან „სოიუზ“-„აპოლონის“ ერთობლივი ექსპერიმენტული ფრენისათვის, რომელიც დაგეგმილია მომდინარე წლის ივლისის შუა რიცხვებისათვის.

სურათზე: კოსმოსური ფრენის ცენტრში კანავერალის კონცხზე. საბჭოთა კოსმონავტი ალექსი ლეონოვი თავის კინოკამერას უჩვენებს საბჭოთა და ამერიკელი კოსმონავტების ჯგუფს. (მარცხნიდან მარჯვნივ: ა. ფილიპჩენკო, ვ. კუბასოვი, ვ. ბრანდი, ა. ლეონოვი, ტ. სტაფორდი და ვ. შატალოვი).

აპ-საკლესის ფოტო.

ᲛᲝᲠᲐᲚᲘᲡ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ
ეგოიზმი, მისი ანტისოციალური არსი

ᲐᲛᲥᲐᲜᲐᲓ, როდესაც წარმატებით მიმდინარეობს ბრძოლა სხვადასხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ჩვენს რესპუბლიკაში ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, ეგოიზმის ანტისოციალური არსის გამოაშკარავება იტაუალური გახდა. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ჩვენი საზოგადოების ანტიპოდებს, კერძოდ, მექრთამეებს, კომბინატორებს, მომხვეჭელებს და, საერთოდ, კერძომესაკუთრული ტენდენციების მქონე ადამიანებს. ბრძოლა ზემოაღნიშნული ანტიპოდების წინააღმდეგ არსებითად არის ბრძოლა ეგოიზმის დასაძლევად, ცხოვრების და მუშაობის ლენინური სტილის აღსადგენად და განსამტკიცებლად.

ტერმინი „ეგოიზმი“ (ლათ. „ეგო“ — „მე“) ისეთი ზნეობრივი პრინციპია, რომელიც ცალკეული ადამიანის კერძო ინტერესებს მისი მოღვაწეობის მთავარ მოტივად აცხადებს და ყოველივე არსებულის ღირებულებას იმაში ხედავს, თუ იგი როგორ და რამდენად ემსახურება მოცემული ინდივიდის ინტერესებს. პირადი ინტერესები, საკუთარი სარგებლიანობა ეგოისტი ადამიანის ცხოვრებაში უმაღლეს ეტალონს წარმოადგენს და გარეკონთან ურთიერთობას მარტოოდენ მის მიხედვით ამყარებს. საზოგადოებრივი ინტერესები მხოლოდ მაშინ იძენენ მის თვალში ღირებულებას, რამდენადაც ისინი კვლავ საკუთარ ინტერესებს შეეხამებიან, ე. ი. რამდენადაც მომგებიანი არიან.

ეგოიზმს ბიოლოგიური და სოციალური საფუძვლები აქვს; მისი ბიოლოგიური საფუძველია თვითშენახვის ინსტინქტი, რომელიც პირვანდელი ფორმით საკუთარი სიცოცხლის შენარჩუნებისა და გახანგრძლივებისაკენ ლტოლვაში გამოიხატება.

მიუხედავად ამისა ცხოველი (ადამიანის გამოკლებით) არ შეიძლება იყოს ეგოისტი, ვინაიდან მას არა აქვს „მე“ — ცნობიერება — იგი თავის თავს ვერ გამოყოფს ბუნებისაგან. შეიძლება ვალაპარაკოთ ეგოიზმის ბიოლოგიურ საფუძვლებზე და არა საკუთრივ ეგოიზმის არსებობაზე ცხოველებში. ეგოიზმი მხოლოდ ადამიანური მოვლენაა, ცნობიერებით დაჯილდოებული ცოცხალი ორგანიზმის მორალური პრინციპია.

მაგრამ ადამიანი მარტოოდენ ბიოლოგიური არსება (ცხოველი) როდია; სწორედ ამიტომ ბიოლოგიური კანონები არასაკმარისია ადამიანის არსების გასაგებად, ადამიანი ცნობიერი არსებაა და თავის მოქმედებაში არაცნობიერი მოტივებით (ინსტინქტებით) როდი ხელმძღვანელობს; იგი ბრძოლა კი არ მისდევს ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს, არამედ იმორჩილებს მათ და საკუთარ გონებას უქვემდებარებს. თვითონ ბუნებრივი მოთხოვნილებანიც კი ცნობიერების კონტროლს ექვემდებარება. ამით ახსნება ის, რომ ადამიანი ხშირად მაღალი იდეალებით მოქმედებს და ზოგჯერ ამ იდეალების სამსახეურში საკუთარი სიცოცხლეც კი მიაქვს; იგი თავს სწირავს სამშობლოსათვის, შვილებისათვის, მეგობრისათვის, სიყვარულს ამჯობინებს შერცხვენილაა და დამცირებულ სიცოცხლეს და ა. შ. ეს გარემებანი ბიოლოგიური კანონებით არ აიხსნება, ვინაიდან უზენაეს კანონს ამ დარგში თვითშენახვა, სიცოცხლისაკენ ლტოლვა წარმოადგენს. მაშასადამე, **ეგოიზმი, უწინარეს ყოვლისა, ბიოლოგიური, ცხოველური გრძნობაა;** რამდენადაც ადამიანში მეტია ეგოიზმი, იმდენად მასში ბიოლოგიური არსება სჭარბობს ადამიანურს და, მაშასადამე, შესაბამისად ცნობიერების დონე დაბალია; ეგოიზმი არ არის ადამიანის როგორც ადამიანის არსება.

ეგოიზმს, გარდა ბიოლოგიურისა, სოციალურ-ეკონომიური საფუძვლებიც აქვს; თვითშენახვის ბიოლოგიური ინსტინქტის გაღრმავებასა და მის გადაქცევას ეგოიზმის მორალურ პრინციპად ადამიანში ხელი შეუწყო და განაპირობა კერძო საკუთრების წარმოშობამ, საზოგადოების დაყოფამ გაბატონებულ და ჩაგრულ კლასებად, ბუნებრივია, რომ ეგოიზმმა თავისი განვითარების უმაღლეს მწვერვალს კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის წარმოშობის შემდეგ და მის საფუძველზე მიაღწია. ვინაიდან სწორედ კაპიტალიზმის დროს ცალკეული ბურჟუას კერძო ინტერესები მისი მოღვაწეობის მთავარ სტიმულად იქცევა და, მაშასადამე, ადამიანთა სოციალური ურთიერთობანი ეგოისტური მოტივებით იმსჭვალება.

მაგრამ ეგოიზმი მარტოოდენ კაპიტალისტურ საზოგადოებაში როდი არსებობს; იგი არსებობდა კაპიტალიზმამდეც (განსაკუთრებით კლასობრივი საზოგადოების წარმოშობის დროიდან) და არსებობს სოციალისტურ საზოგადოებაშიც გადმონაშთების სახით. ეგოისტური მორალი სწორედ ანტაგონისტური საზოგადოების სპეციფიკაა და, მაშასადამე, პრინციპულად უცხოა სოციალისტური წყობილებისათვის. ამის ნათელ დადასტურებას თვითონ ეგოიზმის ბუნების ანალიზი იძლევა. ეგოისტი ადამიანი არ კმაყოფილდება სიცოცხლის შენარჩუნებისა და გახანგრძლივების საშუალებების მოპოვებით, არამედ მისწრაფვის სამდიდრესაკენ, ფუფუნებ

ქუთაისიდან საზღვარგარეთ

ქუთაისი. (საკ. კორ.). ლითოფონის ქარხნის პროდუქცია — შაბიამანი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იგზავნება. შარშან ათასობით ტონა მაღალხარისხოვანი პროდუქცია გაიგზავნა იაპონიაში, იტალიაში, დანიაში, ფინეთში, ესპანეთში, ვერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და უნგრეთში, ახლახან შაბიამნის უცხოელ მომხმარებელთა რიცხვს კიდევ ერთი ახალი ქვეყანა — ნორვეგია შეემატა. ამ დღეებში ნორვეგიაში 150 ტონა შაბიამანი გაიგზავნა.

წლეულს ქარხნის კოლექტივი გამოუშვებს 13 ათასამდე ტონა შაბიამანს, გაცილებით მეტს, ვიდრე შარშან.

□

გილოცავთ დაბადების დღეს

ტყიბული. (საქინფორმის კორ.). სტალინის სახელობის შახტში კარგ ტრადიციას ჩაუყარეს საფუძველი. აქ დადგმულია საპატიო დაფა, წარწერით „გილოცავთ დაბადების დღეს“. შახტის ხელმძღვანელობა დაბადების დღეს ულოცავს მოწინავე მეშახტეებს, დაფაზე აკრავს იუბილართა ფოტოსურათებს.

მაგალითად, დაბადების დღეს მიულოცეს ეირონ რიჟამაძეს, რომელიც უკვე მეოთხედი საუკუნეა შახტში მუშაობს, წარჩინებულმა მეშახტემ ვადამდე შეასრულა ხუთწლედის დავალება და ახლა 1976 წლის ანგარიშში შრომობს. დაბადების დღე მიულოცეს აგრეთვე მეშახტეებს გ. ცნობილაძეს, გ. ჭიკაბერიძესა და სხვებს.





„ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობის ქალიშვილებო! გილოცავთ გაზაფხულის პირველ დღესასწაულს!“ ასეთი წერილი გაუგზავნეს აფხაზეთის კომკავშირელებმა მიმოზის თაიგულებთან ერთად ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლებს.

— ეს ყვავილები — ერთ ტონაზე მეტი — სოხუმის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებმა სპეციალური ავიარეისით გაგზავნეს დაბა ტინდაში, სადაც ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებელთა შტაბია.

სურათზე: სოხუმის № 45 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები ნუგზარ ხვიტანი, ჯემალ კაკაშვილი, გია სილაკაშვილი, იოსებ ლომია და სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გამზრდელობის უნივერსიტეტის მეორე (მარცხნივ მეორე) ყვავილებს ამზადებენ ბაიკალ-ამურის მაგისტრალზე გასაგზავნად. ი. ბოხოდოლიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საბჭოსნერო აგარი

... ...

... ...

... ...